



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრუზინოვი პეტრე იოსების ძე

გრუზინოვი პეტრე იოსების ძე (1772, ნოვოჩერკასკი, – 27. X. 1800, იქვე), რუსეთის სამეფო კარზე დანიშნულებული სამხედრო მოღვაწე, ე. გრუზინოვის უმცროსი ძმა. კაზაკთა ლაიბგვარდიის პოლკოვნიკი. თავი გამოიჩინა ოჩაკოვისა და რიმნიკის ბრძოლების დროს, რისთვისაც დააჯილდოვეს წმ. გიორგის ჯვრითა და ოქროს ჯვრით. მონაწილეობდა პოლონეთის 1794–96 კამპანიაში. 1798 აპრილში დააპატიმრეს და ძმასთან, ევგრაფთან, ერთად გადაასახლეს ჩერკასკში. 1800 წ. 27 ოქტ. სიკვდილით დასაჯეს რამდენიმე კაზაკ ოფიცერთან ერთად.

ლიტ. იხ. სტ-თან გ რ უ ზ ი ნ ო ვ ი ე. ი.

ო. გვინჩიძე
